თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 16 თებერვალი
მორიგი სხდომის
ოქმი № 3

ქ. თერჯოლა

16 თებერვალი 2022 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ამირან ვერულაშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემურ ქოჩიაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. ომარი ჯიხვაშვილი, 11. ბადრი ბუცხრიკიძე, 12. ჯემალი ისაკაძე, 13. ელისო მურადაშვილი, 14. მანუჩარ ფანჩულიძე, 15. შალვა ჭანკვეტაძე, 16. გრიგოლ გიორგაძე, 17. გოჩა ვერულაშვილი, 18. დავით გოგბერაშვილი, 19. კახა ბუცხრიკიძე, 20. რამინი რობაქიძე, 21. თამარ ახვლედიანი, 22. ამბერკი დოლაკიძე, 23. ნატალია ასათიანი, 24. კობა კირკიტაძე, 25. რუსუდან კოვზირიძე, 26. როლანდი მესხი, 27. ივანე ჩუბინიძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ლევან კვატაია, 2. დავით ცხადაძე, 3. მერაბ ბასილაძე

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 27 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12³⁰ სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282202737, 27.01.2022 წ);

მომხს.: თ.ქოჩიაშვილი

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატრიული ფასის დადგენის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282204584, 14.02.2022 წ.);

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282204585, 14.02..2022 წ.);

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მოხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-18, წინააღმდეგი -9

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29220472, 16.02.2022 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატრიული ფასის დადგენის შესახებ დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-27, წინააღმდეგი -0.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატრიული ფასის დადგენის შესახებ დადგენილების პროექტი(დადგენილება № 6, 16.02..2022 წ).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკარებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროექტში შესულია 8 ობიექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27, წინააღმდეგი -0.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29220473, 16.02.2022 წ).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკარებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27, წინააღმდეგი -0.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.2929220471, 16.02.2022 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 თებერვლის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი